საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლაში ჩავატარე კვლევა საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნებში სწავლის დაბალი მოტივაციის მიზეზის დადგენის შესახებ.

წარვადგინე კვლევის მიზნის, მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზის პრეზენტაცია შესაბამისი კათედრის (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების) პედაგოგთა წინაშე. კოლეგებმა წინასწარ იცოდნენ კვლევის მიმდინარეობის შესახებ. კვლევის მიზნის გამოკვეთაში სწორედ მათთან წინასწარი შეხვედრა იყო ერთ-ერთი მაპროვოცირებელი.

პრეზენტაცია აგებული იყო შემდეგი გეგმით:

- პრობლემის გამოკვეთა და კვლევის მთავარი კითხვა;
- მეთოდები, რომლის გამოყენებით შეგროვდა მონაცემები;
- თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი;
- განხორციელებული საქმიანობების მოკლე მიმოხილვა;
- კვლევის შედეგები;
- რეკომენდაციები;
- რა მიმართულებით შეიძლება გაგრძელდეს აღნიშნული კვლევა.

შევეცადე კოლეგებისთვის დამენახვებინა ჩატარებული კვლევის სარგებელი. კერძოდ, რა გავლენა მოახდინა თანამშრომლობითმა სწავლებამ (ჯგუფური მუშაობა, პროექტები, სახალისო ინტელექტუალური თამაშები..) და რესურსების ხშირმა და მიზნობრივმა გამოყენებამ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე.

კვლევის პოზიტივად ითვლება ისიც, რომ იგი გაგრძელებადია. პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას გამოიკვეთა, რომ კოლეგები და მოსწავლეები მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებად ასახელებენ მასწავლებლისა და მშობლის ფაქტორს, სახელმძღვანელოებს, მათი ინტელექტის კოეფიციენტს და სხვა. ამიტომ შეიძლება კვლევის გაგრძელება და დადგენა დასახელებული ფაქტორებიდან თითოეული რა გავლენას მოახდენს
მოსწავლეთა მოტივაციაზე. კოლეგებისაგან მიღებული უკუკავშირი იყო ძირითადად პოზიტიური. აღნიშნეს, რომ საკითხი ძალიან პრობლემურია მათთვისაც, ამიტომ ჩატარებული კვლევა და მისი შედეგების გათვალისწინება მათაც დაეხმარებათ. ამასთან აღნიშნეს, როცა ისინი
დაიწყებენ კვლევას სხვადასხვა მიზნით, ჩემი სახით ეყოლებათ მრჩეველი. აღნიშნეს ისიც, რომ კარგი იქნებოდა, თუ კვლევაში რამდენიმე
მასწავლებელი იქნებოდა ჩართული. მომავლისთვის იქნებ კარგი დარჩეს ამ მოსაზრების გათვალისწინებაც.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი ბრილი
ბიოლოგიის მასწავლებელი მაია ჭაღალიძე